PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი №2

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატების შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრი:

ხათუნა წერეთელი

თბილისი, 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №345251(12.04.2021წ) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;
2. ხათუნა წერეთელი - წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების განხორციელება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 15 მარტს წარმოდგენილი განაცხადი თანდართული დოკუმენტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ, მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების (განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები, მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები) დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ასევე ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და 22 აპრილს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „აღმზრდელი“ განკუთვნილი სასწავლო სივრცის გადამოწმება და მასში განთავსებული მატერიალური რესურსების, ასევე საბიბლიოთეკო სივრცის და საგანმანათლებლო რესურსების დათვალიერება (გასაუბრების განრიგი დასკვნას თან ერთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა“ 2020 წელს დაიმატა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას, პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისთვის მატერიალური ბაზის შევსებას, მოსამსახურე პერსონალის პირადი საქმეების სრულად დაკომპლექტებას კოლეჯის შინაგანაწესით სავალებულო წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესაბამისად, კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების გადამუშავებას, პროგრამის შეფასების მექანიზმში შრომის ბაზრის მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტების გათვალისწინებას, კვლევისთვის საჭირო გამოკითხვის ფორმების შემუშავებას, შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის წესის შემუშავებას, პროგრამის ბიუჯეტის გადახედვა და სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის რენტაბელობის განსაზღვრას, ტერმინების ჩასწორებას. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა და დადასტურდა აღნიშნული საკითხი.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.6.

<u>რეკომენდაცია:</u> კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 მარტის N04-31 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში „აღმზრდელი“ მიეთითოს ცვლილების შესახებ ინფორმაცია, დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N04-51 ბრძანების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცება: კოლეჯის დირექტორის ბრძანება N04-31 15.03.2021 ცვლილება: კოლეჯის დირექტორის ბრძანება N04-51 16.04.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მცხეთის რაიონი სოფ. წინამძღვრიანთკარი - მოდულური სწავლება - 30 სტუდენტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eusoft

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას და შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

კოლეჯის მისიაა კონკურენტუნარიანი კადრების მოამზადება, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის; ხელი შეუწყოს ინდივიდის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, ასევე უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდას. კოლეჯის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ის მრავალპროფილურია ახორციელებს პროგრამებს სხვა მიმართულებითაც.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინა საქართველოს შრომის ბაზარზე აღმზრდელის პროფესიაზე არსებული მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კვლევის „შრომის ბაზრის ანალიზი. 2020 წ.'' საფუძველზე.

2019 წელს HR.GE-ზე დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 2008) ელემენტარული ჯგუფების მიხედვით, გამოცხადებული ვაკანსიების ჩამონათვალში ყველაზე დიდი რაოდენობით არის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი. ასევე მნიშვნელოვანია დამსაქმებლების ინტერესი პროფესიული განათლების მქონე პირების მიმართ.

მცხეთა-მთიანეთის სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების, რეგიონის ახალგაზრდების და პროფესიული განათლებით დაინტერესებული სხვა პირების 2021 წლის პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა 20% დაინტერესებულია დაწესებულებაში აღმზრდელის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის განხორციელებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

„მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2015-2021 წლებისთვის'' დოკუმენტის მიხედვით რეგიონში ფუნქციონირებს 59 საბავშვო ბაღი და მიმდინარეობს 7 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის პროცესი, რომელიც ყველა მოთხოვნილ თანამედროვე სტანდარტებს დააკმაყოფილებს. დაახლოებით 6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას უტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროცესი მცხეთის მუნიციპალიტეტის დღის წესრიგში აყენებს დამატებითი კადრის მოძიების საკითხს. შესაბამისად კოლეჯი აღმზრდელის პროფესიული პროგრამის დამატებით უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრის მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას ახალ აშენებულ საბავშვო ბაღებში.

დაწესებულების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის (2020-2026წ) სტრატეგიული მიზანი1 - ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაა, ხოლო მისი შესაბამისი ამოცანაა მოთხოვნადი და რეგიონზე მორგებული პროგრამების დამატება მოდულური და დუალური მიდგომით.

ამრიგად, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

აღმზრდელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღმზრდელი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია კოლეჯის მიერ შემუშავებული პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' მე–2 თავის, მე–4 მუხლით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება), რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან დასრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. პროგრამაზე ჩასაბარებლად სტუდენტი აბარებს ისეთ გამოცდას, რომლის პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას</u>

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N 04-03 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ შესაბამისად. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. კოლეჯს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას, გათვალისწინებული აქვს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მატერიალური რესურსი, ასევე პრაქტიკის ობიექტების გამტარიანობა. დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, ისინი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გეგმავენ მიღებას ორ ჯგუფად. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „აღმზრდელი” გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს ერთი ჯგუფში, შესაბამისად, ორი ჯგუფის შემთხვევაში - 30 პროფესიულ სტუდენტს.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „აღმზრდელი“ გათვალისწინებული რესურსი და მათ შორის საგანმანათლებლო რესურსებიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აღმზრდელი“ **არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.**

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს განსაზღვრავს „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის წესდება“. რომლის მიხედვით (მუხლი 5. ქვეპუნქტი „ი“) დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას. ამავე დროს, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორის N04-111 ბრძანებით (13.12.2019) დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი "სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)" მუხლი 2, პუნქტი 6.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ დამტკიცებულია კოლეჯის უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ 2021 წლის 15 მარტის N04–31 ბრძანებით; ასევე დირექტორის მიერ 2021 წლის 16 აპრილის N04–51 ბრძანებით მოხდა საგანმანათლებლო პროგრამაში „აღმზრდელი“ განხორციელებული ცვლილებების დამტკიცება, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის გარეკანზე ცვლილების განხორციელების შესახებ ინფორმაცია არ არის ასახული.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია.

რეკომენდაცია: კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 მარტის N04-31 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში „აღმზრდელი“ მიეთითოს ცვლილების შესახებ ინფორმაცია, დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N04-51 ბრძანების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

<u>ამრიგად, საგანმანათლებლო</u> პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის „აღმზრდელი“ სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

<u>ამრიგად, პროფესიული პროგრამის სახელწოდება „აღმზრდელი“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი</u>

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის “აღმზრდელი - 02117-პ” მიხედვით და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია,პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობლობები, სტრუქტურა და მოდულები,სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევისდადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ.

პროგრამას თან ერთვის ზოგადიდა სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.

<u>ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- კოლეჯის 2020–2026 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-126 30.07.2020;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“;
- აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანება N04-31 15.03.2021;
- აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში N04-31 15.03.2021 ცვლილების შესახებ (კოლეჯის დირექტორის ბრძანება N04-51 16.04.2021);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი’’;
- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა აღმზრდელის პროგრამისთვის;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ‘’სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის N04-111 ბრძანებით (2018 13.12.2019);
- გასაუბრება კოლეჯის წარმომადგენლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი, სულ 30 სტუდენტი - ორ ჯგუფად მიღების გათვალისწინებით). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი წარმოდგენილია პროგრამის დანართი 4-ით. დისტანციური წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა მატერიალური რწესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი მატერიალური რესურსების შესყიდვის და ფლობის დოკუმენტაციის და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დისტანციური ჩართვის ფარგლებში სასწავლო გარემოს და შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობის დათვალიერებით დადასტურდა მატერიალური რესურსის არსებობა.

კოლეჯს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს A/C ტიპის სასწავლო გარემო 15 პროფესიული სტუდენტისათვის და უცხოური ენის მოდულის განსახორციელებლად აუდიტორია N209, სადაც ასევე არის სამუშაო ადგილი 15 პროფესიული სტუდენტისათვის; ხოლო B ტიპის სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია 2 აუდიტორია: N208 და N213. აღნიშნული აუდიტორიების ფართიდან გამომდინარე, თითოეულში შესაძლებელია ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის განთავსება.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ მოდულის „პრაქტიკული პროექტი“ სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია 2021 წლის 3 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

განმახორციელებელ პარტნიორის, „ა(ა)იპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი დაწესებულებების (ბაგა-ბაღები) ბაზაზე და ითვალისწინებს ერთდროულად არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტისთვის (ერთ ჯგუფად) პროგრამის აღნიშნული მოდულის რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებას. კოლეჯი წინასწარ, მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობითი სახით აწვდის პრაქტიკის ობიექტს ინფორმაციას პრაქტიკის ვადების, პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, მათი ვინაობის და პრაქტიკის თემატიკის შესახებ.

ამრიგად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „აღმზრდელი“ განსაზღვრული პროფესიული მასწავლებლების რაოდენობაა 18 პროფესიული მასწავლებელი. მათ შორის, ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 (ექვსი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ–დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 11 (თერთმეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი, ქართული ენის მოდულის განხორციელებაში 1 (ერთი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათი დატვირთვა საკონტაქტო საათების გარდა გულისხმობს სხვა სამუშაოების შესრულებასაც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და სხვ). ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ მასწავლებლებს, მათ შორის ზოგადი მოდულების განმახორციელებლებსაც, რომელთა დატვირთვა სხვა პროგრამებში ჩართულობის მიუხედავად არ სცდება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დატვირთვის მაჩვენებელს. პროფესიულმა მასწავლებლებმა დაადასტურეს მზაობა იმუშაონ მოცემული სასწავლო დატვირთვით. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა (არაუმეტეს 40 საათი კვირაში) შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამას დანართის სახით თან ახლავს პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების ჩამონათვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

<u>ამრიგად, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას</u>

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

"აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების პირად საქმეებში დაცული დოკუმენტები, რომელთა გამოთხოვა მოხდა პროგრამის დამატების განაცხადის გაცნობის შემდგომ. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და სწავლებისა და შეფასების გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების გამომუშავებას.

<u>ამრიგად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 12 მარტის N02–30 ბრძანებით დანიშნული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და მისი უფლება–მოვალეობები განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-75 (28.05.2020) დამტკიცებული სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის წესის მე–2 მუხლით. მასთან ასევე გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს მხარეებს შორის პროგრამით განსაზღვრული კონკრეტული მოდულების განხორციელებას. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, იცნობს პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს და მისი კომპეტენციის ფარგლებში მზადაა უხელმძღვანელოს პროფესიულ პროგრამას და შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

<u>ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, საგანმანათლებლო რესურსები არსებობს, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია კომპიუტერები და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მიწოდება, შესაბამისად პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საგანმანათლებლო რესურსებით, როგორც ადგილზე, ასევე ამობეჭდონ ან/ და გაიტანონ.

<u>ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში</u>

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელის და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მეშვეობით კოლეჯი ახორციელებს შშმ და სსსმ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას. დაწესებულებაში შესაძლებელია საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირება ისე, რომ გათვალისწინებული იქნეს სსსმ პროფესიული სტუდენტის საჭიროებები და მოთხოვნილებები (მაგ. შრიფტის გაზრდა, საგანმანათლებლო რესურსის გამარტივებული ვარიანტის შექმნა და სხვ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

<u>ამრიგად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად</u>

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც გათვლილია 15 პროფესიული სტუდენტზე. პროგრამის ბიუჯეტით დადგენილი რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 10–ს. ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში მოცემულია ვაუჩერული დაფინანსება, ვინაიდან პროგრამის განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მოცემულია ხარჯების სახეები, კერზოდ მასწავლებელთა ხელფასი, ძირითადი საბრუნავი საშუალების ცვეთა, დიპლომის ბეჭდვა, რეკლამის ხარჯი, სტუდენტების მხარდაჭერის ხარჯი (კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, სტუდენტური კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები) ადმინისტრაციული და კომუნალური ხარჯები.

<u>ამრიგად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ მდგრადობა უზრუნველყოფილია დაწესებულების ფინანსური რესურსებით.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების პირადი საქმეები და ხელშეკრულებები;
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დისტანციური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან;
- კოლეჯის ადმინისტრაციის და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2019 წლის 11 მარტს კოლეჯის დირექტორის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიზანია მუდმივად იზრუნოს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებასა და სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობაზე. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. ორიენტირებულია შექმნას პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო და სამუშაო გარემო. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. ატარებს სტუდენტების, თანამშრომლების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვათა გამოკითხვას. გამოკითხვის შედეგებს გაეცნობიან დაინტერესებული მხარეები. კვლევის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება პროგრამების გადახედვა და მოდიფიცირება, სასწავლო/სამუშაო გარემოს გაუმჯობესება და ა.შ. პროგრამის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ასევე ევალება პროგრამის ხელმძღვანელს, რისთვისაც კოლეჯს აქვს შემუშავებული პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიზანია კოლეჯში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და გაუმჯობესება; სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება.

ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულება გააანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობა, მიზანი და ამოცანები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნული ჯგუფი ახორციელებს რეგულარულ დასწრებებს საკონტაქტო და შეფასების საათებზე, რისთვისაც გამოიყენება შიდა მხარდაჭერის ჯგუფის დასწრების კითხვარი. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე." მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე.

<u>ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას</u>

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ დოკუმენტის მიხედვით, მე-2 მუხლში გაეწრილია პროგრამის შემუშავების პროცედურა, პროგრამის შემუშავების წესი, მოდულის შემუშავების წესი. დოკუმენტის მე-5 მუხლით განსაზღვრულია პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და განვითარების წესები. პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს - ინფორმაციის შეგროვება, ინფორმაციის დამუშვება, გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა, რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებების განხორციელება.

<u>ამრიგად, აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019 წლის 11 მარტს კოლეჯის დირექტორის N04-26 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა;
- გასაუბრება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „აღმზრდელი“ შედგენილია ორი სასწავლო გეგმა მოდულებში განსაზღვრული საათების შესაბამისად, როგორც ქართული ენის მოდულებით, ასევე მის გარეშე. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა შემუშავებულია პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. ასევე დაცულია წინაპირობიანი მოდულების წინმსწრები მოდულების გადაბარების შუალედი.

2019 წლის 14 თებერვლის დაწესებულების დირექტორის N04-12 ბრძანებით დამტკიცებული თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესის შესაბამისად თემატურ - კალენდარულ გეგმას შეიმუშავებს მოდულის განხორციელების დაწყებამდე კონკრეტული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი ინდივიდუალურად თითოეული ჯგუფისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

მოდულის დაწყებამდე, 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე სასწავლო პროცესის მენეჯერი პროფესიულ მასწავლებელს წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერად აწვდის ინფორმაციას, მოდულის დაწყების თარიღის, მოდულის ხანგძლივობის და ყოველკვირეული სასწავლო დატვირთვის შესახებ.

<u>ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად</u>

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და ექნება ადექვატური რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში სასწავლო პროცესი რეგულირდება 2019 წლის 14 თებერვლის კოლეჯის დირექტორის N04–12 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით'', რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებას. პროფესიული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში მოხდება სტუდენტის გადაყვანა სხვა პროფესიულ პროგრამაზე. თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი (სსიპ კოლეჯი მოდუსი 17.02.2021წ) და განხორციელდება შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. სტუდენტებს აქვთ მიღებული შედეგების გასაჩივრების და განმეორებით გმოცდაზე გასვლის უფლება.

<u>ამრიგად, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე</u>

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამით განსაზღვრული თითოეული მოდული ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს და შესაბამის ტექნოლოგიებს, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექცია; კონსულტაცია, დამოუკიდებელი სამუშაოს ანალიზი, პრობლემების განხილვა-გადაჭრა, გამოცდილების გაზიარება, პრაქტიკული მეცადინეობა და სხვ.

<u>ამრიგად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას</u>

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს, რომელიც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო მიზნებისა და შედეგების ცვლილებას, რომელიც ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ფოკუსირებულია შედეგზე. პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას გაითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

<u>ამრიგად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები</u>

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან დასტურდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. საგანმანათლებლო დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს ერთ პარტნიორ ორგანიზაციასთან – „ა(ა)იპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“. რომლის მეშვეობითაც, პარტნიორი ორგანიზაციის დაწესებულებების (ბაგა-ბაღები) ბაზაზე განხორციელდება პროგრამით გათვალისწინებული ,,პრაქტიკული პროექტი“, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით არაუმეტეს 15 სტუდენტისა;

<u>ამრიგად, თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით</u>

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ მოითხოვება დამატებითი, უსაფრთხოების განსაკუთრებული მექანიზმების არსებობა. სასწავლო გარემოში დაცულია უსაფრთხოების ზოგადი ნორმები.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანების დანართი N9-ით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი უზრუნველყოფს: სახანძრო უსაფრთხოებას; სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას; კოლეჯის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების დახმარებას გადაადგილების დროს (ასეთების არსებობის შემთხვევაში); უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმების არსებობას; საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

გარდა ამისა, კოლეჯში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება;

კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი), რომლის გამოყენების ინსტრუქცია ახსნილია კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალისათვის;

ასევე, კოლეჯის შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/ები ვალდებული არიან მუდმივად აკონტროლონ კოლეჯში კორიდორები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრან იგი. აღნიშნულს არეგულირებს სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ,,წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესები. ასევე, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო.

<u>ამრიგად, სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ’სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის N04-111 ბრძანებით (2018 13.12.2019);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“;
- სასწავლო გეგმები „აღმზრდელი“;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- გასაუბრება კოლეჯის წარმომადგენლებთან
- დისტანციური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში შეფასების სისტემა რეგულირდება კოლეჯის მიერ შემუშავებული და 2019 წლის 14 თებერვლის კოლეჯის დირექტორის N04-12 ბრძანებით დამტკიცებული თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესით.

თემატურ–კალენდარული გეგმა წარმოადგენს კონკრეტული მოდულის განხორციელების წინასწარ დაგეგმვას დროის კონკრეტულ მონაკვეთში. ეს არის მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

პროფესიული სტუდენტისათვის განმსაზღვრელი შეფასების მიცემის საშუალებას წარმოადგენს შეფასების ინსტრუმენტები, რომლის საშუალებით დასტურდება მიაღწია თუ არა პროფესიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგს. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

სტუდენტისთვის ვალიდაციის მინიჭების მსჯელობის საკითხს წარმოადგენს. შეფასების ინსტრუმენტების საფუძველზე შექმნილი სასწავლო უწყისები. პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენისას იყენებს კონკრეტულ მოდულს.

<u>ამრიგად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური</u>

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი, ანუ შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესი რეგულირდება კოლეჯის რეგულაციით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურები. პსდ-ში შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის პროცესის განსახორციელებლად ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ: პროგრამის ხელმძღვანელი-დარგის ექსპერტი; პროფესიული მასწავლებელი, მოწვეული პირი, მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, პირი სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდიდან ან სხვა კომპეტენტური პირი, რომელიც არ მოდის ინტერესთა კონფლიქტში. დაუშვებელია, რომ პირმა, რომელმაც ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, შეამოწმოს იგივე ინსტრუმენტი.

<u>ამრიგად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს</u>

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში შემუშავებულია თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესი, რომლის მიხედვითაც, რეგულირდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვისა და შენახვის წესი.

აღნიშნული წესის თანახმად, შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო შეფასების უწყისები უვადოდ. ასევე შექმნილია შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალი, რომელიც იწრმოება რეგულარულად.

პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს სათანადო აღრიცხვის მიზნით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალის საუშალებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად.

<u>ამრიგად, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით</u>

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები, დაწესებულების მიერ გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს, თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. სტუდენტებს დადგენილი წესის თანახმად ეძლევათ შესაძლებლობა გაიარონ განმეორებითი გამოცდა და გაასაჩივრონ მიღებული შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

<u>ამრიგად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- „თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესში“ (ბრძანება N04-12 დანართი N1 14.02.2019; ცვლილება: N04-153 (13.12.2019) დანართი N1; ცვლილება: N04-73 (28.05.2020) დანართი N1, დანართი N2; ცვლილება 04-123 24.07.2020; ცვლილება N04-210 23.10.2020; ცვლილება 04-32 15.03.2021);
- სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ,,სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესები’’;
- კოლეჯის დირექტორის N04-26 ბრძანებით 11.03.2019 დამტკიცებული სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დისტანციური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: _____

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

1. დისტანციური გასაუბრების განრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად

01.06.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------